წალენჯიხა
წელი

09 მარტი 2023

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N2

2023 წლის 9 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თვმჯდომარე ბაჩანა ქანთარია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, ავთანდილ გაბელია.

დაწყების დრო: 11:00-სთ.
დასრულების დრო: 12:00-სთ.

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **ილია სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო ზედამხედველობის, ბუღალტრული და ქონების აღრიცხვის განყოფილება.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს პირველ გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **ნანა უბილავა,** მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო ზედამხედველობის, ბუღალტრული და ქონების აღრიცხვის განყოფილების უფროსმა ილია სალიამ (ანგარიში თან ერთვის).

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

მოისმინეს 2: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს პირველ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნულზე ანგარიში წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა ნანა უბილავამ.

შიდა აუდიტის სამსახურმა, თავისი უფლება-მოვალეობის ფარგლებში, განახორციელა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის აუდიტი. (ანგარიში თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ მისახედია ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" აღსაზრდელთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები. რადგან თევზი არის ძალიან ფხიანი და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ იგი ბავშვმა მიირთვას, ასე რომ მცირე ფასის სხვაობის გამო უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა და ბაღებს უნდა მივაწოდოთ, ნაკლებადფხიანი, უფრო მაღალი ხარისხის თევზი.რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ საბავშვო ბაღების კვებით უზრუნველყოფის სატენდერო დოკუმენტაციაში გაწერილია არა ორაგული, არამედ ორაგულისნაირი თევზი, რომელიც შესაბამისად, ნაკლებფასიანია. მანაღნიშნა, რომ წამოყენებული პრობლემა მისახედია და სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

ასევე საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიას თქმით ბაღებში შეტანილია სველი შეშა, რაც ძალიან დიდ პრობლემას წრმოადგენს და მომხსენებელს თხოვნით მიმართა, რომ წერილობით, ოფიციალურად მოაწოდოს საკრებულოს სამსახურმა შესწავლილ იქნა თუ არა ბაღებთან დაკავშირებული საკითხები და რა რეკომენდაციები გაიცა აუდიტის სამსახურის მიერ, სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიმართ.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა ქანთარია/